

საქნახშირი

პრესრელიზი

სამუშაო შეხვედრა " საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში"

"ჯი- აი- ჯის" , ჯანდაცვის სამინისტროსა (მოდერაციის მიზნით ესწრებოდა შეხვედრას)და გაერთიანებულ პროფკავშირებს შორის სოციალური დიალოგი შედგა.

" საქნახშირი ჯი- აი- ჯი" - ის ირგვლივ თებერვალში განვითარებულ მოვლენების დროს გამოსვლების შედეგად კომპანიის მიერ დასაქმებულთათვის მიცემულ პირობებს შეეხო. განიხილეს ახალი შრომით ხელშეკრულებები, შრომით უფლებები და ვალდებულებები, უსაფრთხოების საკითხები. მხარეების გადაწყვეტილებით შემდეგი სამუშაო შეხვედრა მომავალ კვირას გაიმართება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიამ ბოლო სამი კვირის განმავლობაში გარდა ახალი ხელშეკრულებების შემუშავებებისა განახორციელა კონკრეტული სამუშაოები და შეიძინა შრომის უსაფრთხოებისათვის საჭირო ახალი ტექნოლოგიები-ახალი კომბაინი, რომელიც გამორიცხავს ფეთქითი მასალის გამოყენებას, შეკეთებულია ძველი და შეძენილია ახალი ელმავლები, მიმდინარეობს. სარემონტო სამუშაოები. კომპანიამ დამატებით შეიძინა თვითმასშველები.

24.03.16

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

